2021

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი"

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-4

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
4. შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	16
5. სხვა შემოსავალი	16
6. შრომის ანაზღაურება	16
7. ძირითადი საშუალებები	17
8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	18
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
10. სხვა ხარჯები	18
11. ფული და ფულის ექვივალენტები	18
12. კაპიტალი	18
13. გადავადებული შემოსავალი	18
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
15. ფინანსური რისკების მართვა	19
16. დაკავშირებული მხარეები	19
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	21

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგება	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - *„პირობითი მოსაზრების საფუძველი“* აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება კომპანიის ბალანსზე არსებული მანქანა-დანადგარების, ავეჯისა და სხვა ინვენტარის, ასევე ოფისის აღჭურვილობის ღირებულების სისწორეზე 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 213 ათასი ლარით (2020 წლის 31 დეკემბერი: 354 ათასი ლარი). ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ ძირითად საშუალებებზე, ასევე სრული შემოსავლისა და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კომპანიის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი 24,578 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასებულ და ისტორულ ღირებულებას შორის სხვაობას. კომპანიამ მის ბალანსზე არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები შეაფასა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით და შესაბამისად ასახა გადაფასების შედეგი - ზემოთაღნიშნული ძირითადი საშულებების ღირებულების ზრდა და გადაფასების რეზერვი. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები მიწისა და შენობა-ნაგებობების ისტორიულ ღირებულებაზე, რადგან კომპანიამ ვერ შეძლო შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ რეზერვის თანხაში.

სს „უნივერსალურ სამედიცინო ცენტრს“ 2020 წლის 17 ივლისს, მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობიდან გამომდინარე, სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“ N02-1144/ო ბრძანებით, ჩამოერთვა სტაციონარული საქმიანობის ლიცენზიები, რის საფუძველზეც შეაჩერა სამედიცინო საქმიანობა და დღემდე შეჩერებული აქვს. ხსენებული მოვლენა მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სუბიექტის უნართან დაკავშირებით გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, აგრეთვე სუბიექტის უნარის შესახებ, რომ ის შეძლებს საკუთარი აქტივების გაყიდვას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობების პირობებში. ფინანსურ ანგარიშგებაში (და მასზე დართულ შენიშნვნებში) გამჟღავნებული არ არის ინფორმაცია ამ ფაქტის შესაეხებ.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

29 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველოო

Nexia TA

Member of Nexia International

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

29 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	4	5	794
სხვა შემოსავალი	5	165	302
სულ შემოსავლები		**170**	**1,096**
შრომის ანაზღაურება	6	(131)	(1,560)
სამედიცინო საქონელის ხარჯი		-	(118)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(216)	(344)
კომუნალური ხარჯი		(66)	(134)
რემონტის ხარჯი		-	(2)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის წმინდა ცვლილება	9	9	148
სხვა ხარჯი	10	(18)	(67)
ზარალი დაბეგვრამდე		**(252)**	**(981)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		**(252)**	**(981)**
წლის სხვა სრული შემოსავალი	7	24,578	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		**24,326**	**(981)**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ენუქიძე

სს "უნივერსალური სამედიცინო ცენტრის"
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	4	5	794
სხვა შემოსავალი	5	165	302
სულ შემოსავლები		**170**	**1,096**
შრომის ანაზღაურება	6	(131)	(1,560)
სამედიცინო საქონელის ხარჯი		-	(118)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(216)	(344)
კომუნალური ხარჯი		(66)	(134)
რემონტის ხარჯი		-	(2)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის წმინდა ცვლილება	9	9	148
სხვა ხარჯი	10	(18)	(67)
ზარალი დაბეგვრამდე		**(252)**	**(981)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		**(252)**	**(981)**
წლის სხვა სრული შემოსავალი	7	24,578	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		**24,326**	**(981)**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ენუქიძე

9-22 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	31-დეკ-21	31-დეკ-20
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	33,020	8,658
		33,020	**8,658**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	49	48
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	42	196
		91	**245**
სულ აქტივები		**33,111**	**8,903**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	16,735	16,735
დაგროვილი ზარალი		(8,344)	(8,093)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	7	24,578	-
სულ კაპიტალი		**32,969**	**8,643**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	13	95	191
		95	**191**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	47	69
		47	**69**
სულ ვალდებულებები		**142**	**260**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**33,111**	**8,903**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ენუქიძე

სს "უნივერსალური სამედიცინო ცენტრის"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-21	31-დეკ-20
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	33,020	8,658
		33,020	**8,658**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	49	48
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	42	196
		91	**245**
სულ აქტივები		**33,111**	**8,903**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	16,735	16,735
დაგროვილი ზარალი		(8,344)	(8,093)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	7	24,578	-
სულ კაპიტალი		**32,969**	**8,643**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	13	95	191
		95	**191**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	47	69
		47	**69**
სულ ვალდებულებები		**142**	**260**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**33,111**	**8,903**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ენუქიძე

9-22 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 12)	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (შენიშვნა 7)	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**14,235**	**-**	**(7,113)**	**7,124**
კაპიტალის ზრდა	2,500	-	-	**2,500**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(981)	**(981)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,735**	**-**	**(8,094)**	**8,643**
წლის წმინდა ზარალი	-	-	(252)	**(252)**
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	24,578	-	**24,578**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**24,578**	**(252)**	**24,326**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,735**	**24,578**	**(8,344)**	**32,969**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ენუქიძე

სს "უნივერსალური სამედიცინო ცენტრის"
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 12)	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (შენიშვნა 7)	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**14,235**	**-**	**(7,113)**	**7,124**
კაპიტალის ზრდა	2,500	-	-	**2,500**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(981)	**(981)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,735**	**-**	**(8,094)**	**8,643**
წლის წმინდა ზარალი	-	-	(252)	**(252)**
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	24,578	-	**24,578**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**24,578**	**(252)**	**24,326**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,735**	**24,578**	**(8,344)**	**32,969**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ენუქიძე

9-22 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		92	1,307
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(247)	(3,657)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გადახდილი) წმინდა თანხები		**(155)**	**(2,350)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო სამქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულდი სახსრები			**-**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის გზარდა	12	-	2,500
წმინდა ფულადი სახსრების საფინანსო საქმიანობიდან		**-**	**2,500**
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**(155)**	**149**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	197	47
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	**42**	**196**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ენუქიძე

9-22 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს "უნივერსალური სამედიცინო ცენტრის"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		92	1,307
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(247)	(3,657)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გადახდილი) წმინდა თანხები		**(155)**	**(2,350)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო სამქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულდი სახსრები			-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის გზარდა	12	-	2,500
წმინდა ფულადი სახსრების საფინანსო საქმიანობიდან		-	**2,500**
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**(155)**	**149**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	197	47
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	**42**	**196**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ენუქიძე

9-22 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

"სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრი" არის სააქციო საზოგადოება (შემდგომში „კომპანია") რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ონკოლოგიური სამედიცინო მომსახურება.

რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისის ტბის მიმდებარედ, №4. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405001466, რეგისტრაციის თარიღი - 2013 წლის 18 ივლისი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი, რომლის საბოლოო მფლობელია საქართველოს სახელმწიფო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სს „უნივერსალურ სამედიცინო ცენტრს" 2020 წლის 17 ივლისს, მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობიდან გამომდინარე, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს N02-1144/ო ბრძანებით, ჩამოერთვა სტაციონარული საქმიანობის ლიცენზიები, რის საფუძველზეც შეაჩერა სამედიცინო საქმიანობა და დღემდე შეჩერებული აქვს. მენეჯმენტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უშუალო ხელმძღვანელობით მონაწილეობს შესაბამის მოლაპარეკებებში და აქტიურად ეძებს ინვესტიციას, რათა მოახდინონ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კომპანიამ განაგრძონს ძველ რეჟიმში მუშაობა. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანია საქმიანობა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში საქმიანობას განაგრძობს როგორც ფუნქციონირებადი საწარმო და შესაბამისად ანგარიშგებაც მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა მომსახურების გაწევა დასრულებულია, ამ შემოსავლის მისაღებად გაწეული ხარჯების შესაბამისად. შემოსავალი არის მომსახურების საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

2.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება გადაფასების მოდელით. აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება გადაფასების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპულატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
მიწა	არ იცვითება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.4. იჯარა

საიჯარო გადასახადი, რომლებიც არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლებასთან, აღიარდება ხარჯად წრფივ მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. პირობითი იჯარის გადასახადები, რომლებიც წარმოიშვება ამგვარი იჯარის საფუძველზე, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარები (საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა (როგორიცაა პერსონალური კომპიუტერები და საოფისე ავეჯი), აღიარებულია საიჯარო ხარჯებში წრფივი მეთოდის გამოყენებით ფასს 16-ის შესაბამისად. ნებისმიერი მოგება/(ზარალი), რომელიც წარმოიშვება საიჯარო კონტრაქტების გაუქმების ან შეცვლის შედეგად, მიეკუთვნება მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კატეგორიას.

2.5. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2.7. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ ქმედებებს იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ ქმედებებს მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული ტრანზაქციის ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს,

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI)" დაუფარავ ძირ თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)
- მოგება-ზარალში ასახული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე რელევანტურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის შერჩეულია ისეთი ბიზნეს-მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (ესგ) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება მისი მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია), ისინი კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წარდგენა ხდება გრძელვადიან აქტივებად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების თავდაპირველი შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია; ან
- ჯგუფმა გაასხვისა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან იკისრა ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი ნაკადების მესამე პირისთვის სრულად, არსებითი დაგვიანების გარეშე გადახდის ვალდებულება, ვალდებულების გადაკისრების შეთანხმების ფარგლებში; და ან (ა) ჯგუფმა გაასხვისა აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) ჯგუფს არც გაუსხვისებია და არც ინარჩუნებს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, თუმცა გასხვისებული აქვს კონტროლი აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) ანარიცხს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მსზ ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, დისკონტირებულს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მნიშვნელობით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ან კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მსზ-ს აღიარება ხდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მსზ იქმნება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია დადგეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს, რომელიც ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანები, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოიწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლდება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.8 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნმების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს და გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება ან ზარალში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.9 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.10 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

შეზღუდული ბალანსები არ შედის ფულად საშუალებებში და მის ექვილანტებში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ბალანსები, რომლებიც შეზღუდულია, რომ იყოს გაცვლილი ან გამოყენებული ვალდებულების ანგარიშსწორებისთვის სულ მცირე თორმეტი თვით სააღრიცხვო პერიოდიდან, შედის შეზღუდულ ფულად საშუალებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფარგლებში.

2.11 მიღებული გრანტები

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით არ უნდა აღიარდეს მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ: ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და ბ) გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტი აღიარდება შემოსავლად მთლიანი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტით ხდება.

2.12. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ₾	EUR / ₾
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.10	4.50
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.27	4.02

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.13. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. კომპანიის მფლობელებზე

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2.14. ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს კომპანიის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელობანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება "შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების "(POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. როგორც მე-9 შენიშვნაში არის ნაჩვენები, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 111 ლარს და 120 ლარს, შესაბამისად.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ, შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. დაშვების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტრანზაქციების ღირებულება არადაკავშირებულ მხარეებთან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითად საშუალებები და არამატერიალურ აქტივები იცვითება/ამორტიზირდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანივარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების გადაფასების მოდელს. ძირითადი საშუალება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია,კომპანია გადაფასებული ღირებულებით (რაც გადაფასების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების ტოლი იქნება), შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. როდესაც ძირითადი საშუალების რომელიმე ობიექტის გადაფასება ხდება, მთლიანად ფასდება ძირითადი საშუალებების ის კლასი, რომელსაც მოცემული აქტივი მიეკუთვნება. კომპანია გადაფასებს მიზნებისთვის იყენებს სერტიფიცირბული შემფასებლების მომსახურებას.

4. შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან

სამედიცინო მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება (გაეწერა პაციენტი) დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალისგან.

5. სხვა შემოსავალი

	2021	2020
გადავადებული შემოსავლის აღიარება	96	233
საიჯარო შემოსავალი	64	45
სხვა არასამედიცინო შემოსავალი	5	24
სულ სხვა შემოსავალი	**165**	**302**

6. შრომის ანაზღაურება

2020 წელს კლინიკაში არსებობდა ფიქსირებული და გამომუშავებული ხელფასი, რომელიც გაანგარიშდება პაციენტის მიერ სტაციონარში გატარებული დღეების, ამბულატორიული ვიზიტების, ჰონორარების და მორიგეობების მიხედვით. 2020 წელს შრომის ანაზღაურება წარმოადგენს კომპანიის ხარჯების უდიდეს ნაწილს: 2020 წელი - 1,560 ათასი ლარი, 2021 წელს კომპანიის ხარჯები შედგება ადმინისტრაციულ პერსონალზე დარიცხული ხელფასებისაგან - 131 ათასი ლარი.

7. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა და შენობა-ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
31 დეკემბერი 2019	**8,611**	**10**	**2,191**	**86**	**10,898**
შეძენა	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	**8,611**	**10**	**2,191**	**86**	**10,898**
შეძენა	-	-	-	-	-
გადაფასება	24,578	-	-	-	**24,578**
31 დეკემბერი 2021	**33,189**	**10**	**2,191**	**86**	**35,476**
ცვეთა					
31 დეკემბერი 2019	**(233)**	**(9)**	**(1,585)**	**(69)**	**(1,896)**
პერიოდის ცვეთა	(74)	(1)	(263)	(6)	**(341)**
31 დეკემბერი 2020	**(307)**	**(10)**	**(1,848)**	**(75)**	**(2,240)**
პერიოდის ცვეთა	(74)	-	(137)	(4)	**(216)**
31 დეკემბერი 2021	**(381)**	**(10)**	**(1,985)**	**(79)**	**(2,456)**
საბალანსო ღირებულება 31/12/2020	**8,304**	**-**	**343**	**11**	**8,658**
საბალანსო ღირებულება 31/12/2021	**32,808**	**-**	**206**	**7**	**33,020**

2021 წელს კომპანიამ მოახდინა ძირითადი საშუალებეების ჯგუფის (მიწა და შენობა-ნაგებობების გადაფასება) დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. აღნიშნული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვმა შეადგინა 24,578 ათასი ლარი.

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულება წარმოადგენს 1,242 ათას ლარს.
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული გირავნობით ან იპოთეკით.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-დეკ-21	31-დეკ-20
სამედიცინო საქონელი	34	34
სხვა	15	14
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**49**	**48**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ არის დაგირავებული ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-21	31-დეკ-20
სახელმწიფოსგან მისაღები მოთხოვნები		-
მუნიციპალიტეტებისგან და სხვა მისაღები მოთხოვნები	20	20
სადაზღვევო კომპანებისაგან მისაღები მოთხოვნები	39	46
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	52	53
გაუფასურების რეზერვი	(111)	(120)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**-**	**-**

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის არსებითი.

„სოციალური მომსახურების სააგენტო" ("SSA") არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე. SSA იხდის დავალიანებას კომპანიის მიმართ მისი წარმოქმნიდან დაახლოებით 5 თვის განმავლობაში.

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

1 იანვარი 2020	**268**
პერიოდში რეზერვის ცვლილება	(148)
31 დეკემბერი 2020	**120**
პერიოდში რეზერვის ცვლილება	(9)
31 დეკემბერი 2021	**111**

10. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები მოიცავს აუდიტორული მომსახურების ხარჯებს. აუდიტორული მომსახურების ხარჯი 2021 წლისათვის წარმოადგენს 9 ათას და 2020 წლებისათვის წარმოადგენს 3 ათას ლარს.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-21	31-დეკ-20
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	42	196
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**42**	**196**

12. კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია 16,735 ათასი ლარით. 2021 წელს არ მომხდარა კაპიტალის ცვლილება.

13. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გრანტით მიღებულ ძირითად საშუალებებს. 31-დეკ 2021 მდგომარეობით ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება და, შესაბამისად, გადავადებული შემოსავლის ნაშთი არის 95 ლარი (31-დეკ-2020: 191 ათასი ლარი)

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-21	31-დეკ-20
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	42	40
გადასახდელი ხელფასები	-	1
გადასახდელი გადასახადები	5	28
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**47**	**69**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

15. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას კომპანიას გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა იმისა, დებიტორი ვერ შეძლებს გადაიხადოს დავალიანება ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდობის რისკი: რისკი იმისა, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკები: რისკი იმისა, რომ საბარო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, კომპანია იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;
- ,,ბუნებრივი ჰეჯირების" მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-21	31-დეკ-20
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	111	120
ფული და ფულის ეკვივალენტები	42	196
	153	**316**

ფინანსური ვალდებულებები	31-დეკ-21	31-დეკ-20
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	47	69
	47	**69**

15. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდრო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. კომპანიის ყველაზე დიდი დებიტორია საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი სოციალური მომსახურების სააგენტოს (SSA) სახით.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო დასაფარი ვადებით (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები)

სავაჭრო მოთხოვნები	**1 წელზე ნაკლები**	**1-5 წელი**	**5 + წელი**	**სულ**
სავაჭრო მოთხოვნები	-	–	–	-
ფული და ფულის ექვივალენტები	42			42
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**42**	**-**	**-**	**42**

სავაჭრო მოთხოვნები	**1 წელზე ნაკლები**	**1-5 წელი**	**5 + წელი**	**სულ**
სავაჭრო მოთხოვნები	-	–	–	-
ფული და ფულის ექვივალენტები	196	–	–	196
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**196**	**-**	**-**	**196**

	1 წელზე ნაკლები	**1-5 წელი**	**5 + წელი**	**სულ**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	47	-	-	47
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**47**	**-**	**-**	**47**

	1 წელზე ნაკლები	**1-5 წელი**	**5 + წელი**	**სულ**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	69	-	-	69
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**69**	**-**	**-**	**69**

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

15. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირია:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	111	-	-	**111**
ფული და ფულის ეკვივალენტები	42	-		**42**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**153**	**-**	**-**	**153**

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	47	-	-	**47**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**47**	**-**	**-**	**47**

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	120	-	-	**120**
ფული და ფულის ეკვივალენტები	196	-	-	**196**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**316**	**-**	**-**	**316**

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	69	-	-	**69**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**69**	**-**	**-**	**69**

16. დაკავშირებული მხარეები

მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ფლობს და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

ოპერაციები მმართველ რგოლთან

	2021	2020
დირექტორის ანაზღაურება	54	54
სულ	**54**	**54**

ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია ყოველდღიურად ახორციელებს ოპერაციებს რიგ ორგანიზაციებთან, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ინდივიდუალურად ან ერთობლივად აკონტროლებს. კომპანია იყენებს გათავისუფლების პუნქტს ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები, პარაგრაფი 25) მიხედვით, რაც მას საშუალებას აძლევს მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს წარუდგინოს შემცირებული ინფორმაცია ოპერაციების შესახებ.

2021 და 2020 წლის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს აღნიშვნას განმარტებით შენიშვნებში.

სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრის

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ
თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი” (კომპანია) დაარსდა 2013 წლის 18 ივლისს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 405001466). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისის ტბის მიმდებარედ #4.

2017 წლის 15 მარტამდე კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი იყო სს საპარტნიორო ფონდი, ხოლო 2020 წლის 13 თებერვლამდე კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი იყო შპს კლინიკების მართვის კომპანია, რომლის საბოლოო ერთადერთი მფლობელია საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი სს საპარტნიორო ფონდის შვილობილი კომპანიის შპს კლინიკების განვითარების კომპანიის სახით. 2020 წლის 13 თებერვალს კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი გახდა სახელმწიფო, წარმოდგენილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახით, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან წილს ფლობს ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა და განვითარების გეგმა

- კომპანია დაფუძნებულია ძველი ონკოლოგიური ცენტრის ბაზაზე, რომელიც მდებარეობდა ლისის ტბის მიმდებარედ. ონკოლოგიური ცენტრი დაარსდა 1977 როგორც “ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი” და თავის დროზე იგი წარმოადგენდა ქვეყანაში ონკოლოგიის სტაციონარული და დისპანსერული ქსელის წამყვან დაწესებულებას (2010 წლამდე - დაახლოებით 700 საწოლით). 2012 წელს ცენტრის პრივატიზაციის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა ინვესტორის მიერ წარმოდგენილი განხორციელებადობის გეგმის ხარვეზების გამო, თუმცა შენობებში გარკვეული კონსტრუქციული სამუშაოები უკვე იყო ჩატარებული.

- კომპანიამ საქმიანობა განახორციელა შენობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილში, სადაც მისი საქმიანობის ძირითადი პროფილი ისევ ონკოლოგიური პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა იყო. ფუნქციონირებდა ამბულატორიული, ქირურგიული, ქიმიო და სხივური თერაპიის, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების, ინტენსიური თერაპიის და რეანიმაციული განყოფილებები, აგრეთვე პალიატიური მზრუნველობის განყოფილება და ჰოსპისი, რომლებიც საქართველოში პირველად სწორედ აქ ამოქმედდნენ.

- სს „უნივერსალურ სამედიცინო ცენტრს“ 2020 წლის 17 ივლისს, მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობიდან გამომდინარე, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს N02-1144/ო ბრძანებით, ჩამოერთვა სტაციონარული საქმიანობის ლიცენზიები, რის საფუძველზეც შეაჩერა სამედიცინო საქმიანობა და დღემდე შეჩერებული აქვს. მენეჯმენტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უშუალო ხელმძღვანელობით მონაწილეობს შესაბამის მოლაპარეკებებში და აქტიურად ეძებს ინვესტიციას, რათა მოახდინონ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კომპანიამ განაგრძონს ძველ რეჟიმში მუშაობა.

- კომპანიის საკუთრებაშია მიწა (ფართობი 6.1852 ჰა) და შენობა ნაგებობები (საერთო ფართობი 31,617 კვ მ). მათი ძირითადი ნაწილი გამოუყენებელია. მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს წიწვოვან ტყე-პარკს.

- ცენტრში თანამშრომელთა რაოდენობა 2021 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 13-ს.

- სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ განვითარების კონცეფციასთან დაკავშირებით სამომავლო გეგმებზე მიმდინარეობს მუშაობა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ძირითადი მაჩვენებლები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-21	31-დეკ-20
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	33,020	8,658
		33,020	**8,658**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	49	48
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	42	196
		91	**245**
სულ აქტივები		**33,111**	**8,903**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	16,735	16,735
დაგროვილი ზარალი		(8,344)	(8,093)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		24,578	-
სულ კაპიტალი		**32,969**	**8,643**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	13	95	191
		95	**191**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	47	69
		47	**69**
სულ ვალდებულებები		**142**	**260**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**33,111**	**8,903**

სრული შემოსავლი ანგარიშგება:

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	4	5	794
სხვა შემოსავალი	5	165	302
სულ შემოსავლები		**170**	**1,096**
შრომის ანაზღაურება	6	(131)	(1,560)
სამედიცინო საქონელის ხარჯი		-	(118)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(216)	(344)
კომუნალური ხარჯი		(66)	(134)
რემონტის ხარჯი		-	(2)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის წმინდა ცვლილება	9	9	148
სხვა ხარჯი	10	(18)	(67)
ზარალი დაბეგვრამდე		**(252)**	**(981)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		**(252)**	**(981)**
წლის სხვა სრული შემოსავალი		24,578	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		**24,326**	**(981)**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	92	1,307
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(247)	(3,657)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(155)**	**(2,350)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო სამქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულდი სახსრები	**-**	**-**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის გზარდა	-	2,500
წმინდა ფულადი სახსრების საფინანსო საქმიანობიდან	**-**	**2,500**
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(155)	150
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**197**	**47**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**42**	**197**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 12)	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**14,235**	**-**	**(7,113)**	**7,124**
კაპიტალის ზრდა	2,500	-	-	**2,500**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(981)	**(981)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,735**	**-**	**(8,094)**	**8,643**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	24,578	(252)	**24,326**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,735**	**24,578**	**(8,344)**	**32,969**

3. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია,

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი არის 16,735,317 ლარი, რაც შეადგენს 16,735,317 ცალ ჩვეულებრივ აქციას ნომინალური ღირებულებით ერთი ცალი აქცია 1 ლარი. აქციათა 100%-ის მფლობელი გახდათ ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

4. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

კომპანიის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. მათი ნაშრომები იბეჭდებოდა სამეცნიერო ჟურნალებში. კომპანია აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში. კომპანიისა და თანამშრომლების ასეთი აქტიურობა საშუალებას იძლეოდა კომპანიის ექიმების მაქსიმალურად პროფესიონალური დონის ამაღლებას და თავიანთ საქმიანობაში გამოეყენებინათ მედიცინის სფეროს უახლესი მიღწევები.

გიორგი ენუქიძე

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	92	1,307
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(247)	(3,657)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(155)**	**(2,350)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო სამქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულდი სახსრები	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის გზარდა	-	2,500
წმინდა ფულადი სახსრების საფინანსო საქმიანობიდან	-	**2,500**
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(155)	150
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**197**	**47**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**42**	**197**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 12)	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**14,235**	-	**(7,113)**	**7,124**
კაპიტალის ზრდა	2,500	-	-	**2,500**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(981)	**(981)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,735**	-	**(8,094)**	**8,643**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	24,578	(252)	**24,326**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,735**	**24,578**	**(8,344)**	**32,969**

3. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია,

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი არის 16,735,317 ლარი, რაც შეადგენს 16,735,317 ცალ ჩვეულებრივ აქციას ნომინალური ღირებულებით ერთი ცალი აქცია 1 ლარი. აქციათა 100%-ის მფლობელი გახდათ ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

4. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

კომპანიის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. მათი ნაშრომები იბეჭდებოდა სამეცნიერო ჟურნალებში. კომპანია აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში. კომპანიისა და თანამშრომლების ასეთი აქტიურობა საშუალებას იძლეოდა კომპანიის ექიმების მაქსიმალურად პროფესიონალური დონის ამაღლებას და თავიანთ საქმიანობაში გამოეყენებინათ მედიცინის სფეროს უახლესი მიღწევები.

გიორგი ენუქიძე

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი